



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 87

ქალაქი ქუთაისი 27 ივნისი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №19-ში (ნაკვეთი №1-1) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსათვის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 07.06.2018 წლის №5/32387 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №19-ში (ნაკვეთი №1-1) მდებარე 3800,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.05.22.707), შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე